ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №14

ქ. რუსთავი **18 თებერვალი 2020 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“, წარმოდგენილი, მისი დირექტორის, ეკატერინა ხუციშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20;
საიდენტიფიკაციო კოდი: № 216439325
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, ი/მ „გივი მესხი“, წარმოდგენილი გივი მესხის სახით
(შემდგომში - მიმწოდებელი),
მისამართი: ქ.რუსთავი მესხიშვილის 1გას მ/ტ.
საიდენტიფიკაციო კოდი: №1200106749
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE42TB7494445061100045

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს გაერთიანების №40 ფილიალში, მეტალო-პლასტმასის კარებების და ტიხრის მოწყობის სამუშაოები (შემდგომში - სამუშაო).

1.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45421131 - კარების ჩადგმა და 45421152 - ტიხარ-კედლების მონტაჟი.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1,100.00 (ერთი ათას ასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს არაუგვიანეს 2020 წლის 28 თებერვლისა.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი, მხარეთა შორის გაფორმებული მ/ჩ აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, გაფორმებიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 5. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

5.1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს.

5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

მუხლი 6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება, მხარეთა შორის გაფორმებული, შესრულებილი სამუშაოს დამადასტურებელი მ/ჩ აქტის საფუძველზე;

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები: გაერთიანების №40 ფილიალის გამგე, ფილიალის მნე, გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გან-ბის უფროსი და გაერთიანების დირექტორი;

6.3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გან-ბის უფლებამოსილი პირი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის განყოფილება, გან-ბის უფროსის სახით.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

8.4. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ

ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

9.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

10.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

10.2. დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს დაკისრებული პირგასამტეხლო;

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან;

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.1. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

10.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს;

10.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს;

10.8. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. უფლებების გადაცემა

12.1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - rustavisbagebi@gmail.com) სახით;

13.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

14.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

14.3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2020 წლის 18 თებერვლიდან, 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY

Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2020.02.18 12:01:42 +04'00'

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	სამუსაოს დასახელება	ზომის ერთ.	რ-ბა	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი ჩათვლით
1	2	3	4	5	6	7
1	45421131	მეტალო-პლასტმასის კარებების (80სმx220სმ) მონტაჟი	ცალი	1	280.00	280.00
2	45421131	მეტალო-პლასტმასის კარებების (90სმx110სმ) მონტაჟი	ცალი	2	275.00	550.00
3	45421152	მეტალო-პლასტმასის ტიხრის (120სმx110სმ) მონტაჟი	ცალი	1	270.00	270.00
სულ ჯამი						1100.00